ქართული ბიზნესი სტერეოტიპების ტყვეობაში



კობა ბიწაძე

ექსპერტი, ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ რედაქტორი

უკვე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ თანამედროვე ბიზნესის განვითარების ლოკომოტივი — ინოვაციებია. საქართველოში კი უპირატესი მნიშვნელობა მხოლოდ ტურიზმს ენიჭება, რა თქმა უნდა, ეს ცუდი არ არის, მაგრამ მხოლოდ ტურიზმზე ეკონომიკის „აჯიდება“ სასურველ შედეგს არ მოიტანს.

საინტერესოა, რის საფუძველზე აქვს თითქმის ყველა ევროპელს საქართველოში მოგზაურობის საშუალება, ქართველების დიდ ნაწილს კი საკუთარ ქვეყანაში გადაადგილება უჭირთ – თუნდაც სამკურნალოდ.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკის კომპლექსური ჩამორჩენილობის მიზეზი მხოლოდ სტერეოტიპებია – პირველ რიგში სოციო-კულტურული.

დამოუკიდებლობის 20 წელიწადმა დაგვარწმუნა, რომ ეკონომიკის განვითარების აუცილებელი საფუძველი სამართლებრივი სახელმწიფო სისტემაა. თუმცა, ინსტიტუციონალური გარემო ცივილიზირებული სახით ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

უცხოელ ექსპერტებს უხარიათ – ეს რა ორიგინალური კონსტიტუცია მოგიფიქრებიათ – ასეთი დემოკრატიული მოდელი ევროპაშიც კი არ არისო.

შუასაუკუნეობრივი და საბჭოთა სტერეოტიპებით თანამედროვე ეკონომიკას ნამდვილად ვერ განავითარებ.

მმართველებს რომ თავი დავანებოთ, არც ფართო მასებში „გაბნეული“ სტერეოტიპებია მაინცდამაინც პროგრესული. უმრავლესობა უქმად ზის და ელოდება როდის მოვა ვინმე **„კეთილი ძია“** ნათელი მომავლიდან და დაასაქმებს მათთან მაღალი ხელფასით.

ასეთი **„ძიები“** ყველას არ ჰყოფნის. ამიტომ, ბევრი საკუთარ სახლკარს ჰყიდის და საზღვარგარეთ მიემგზავრება. სტერეოტიპები კი ასეთია. ან კიდევ: **„ღმერთი მოწყალეა – განსაცდელში არ მიგვატოვებს“. მაგრამ, რატომ გიშველის ღმერთი მაინცდამაინც საზღვარგარეთ და არა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში?**

ალბათ, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში „კეთილი ძიას“ ნაცვლად ბოროტ ექსპლუატატორებს პოულობენ, რომლებიც მათ 2-ჯერ ნაკლებ ხელფასს უხდიან, ვიდრე ადგილობრივებს. **საკმაოდ ბევრს კი საერთოდ იმონებენ და მხოლოდ საკვების ფასად ამუშავებენ.**

ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ სამუშაო უფრო მძიმე და არაკვალიფიციურია, ვიდრე, საქართველოს სოფლებში მოუწევდათ.

ხომ არ სჯობს, მოწყალე ღმერთს სთხოვო, რომ თვითონ გახდე სამუშაოს მიმცემი, ვიდრე, ვიღაც-ვიღაცეებს მიექირავო გროშებად?!

საზღვარგარეთ წასვლა მინიმუმ 2500 ევრო ჯდება. ამ ფასად თავისუფლად შეიძლება იყიდო მინი-ტრაქტორი და მიწაც აიღო იჯარით. საქართველოში 400 000 ჰექტარზე მეტია მიტოვებული - ბოსტნეული კი ისევ იმ ქვეყნებიდან შემოდის, სადაც ქართველ ემიგრანტებს ბოსტნებს ამარგვლინებენ. (უკვე **აღარც იჯარაა აუცილებელი – საქართველოს ეკლესია საჩუქრად გადასცემს ათასობით ჰექტარ მიწას მსურველებს**. თუმცა, არც მანამდე იყო ძვირი მიწის იჯარით აღება...).

თვით საერთაშორისო ორგანიზაცია IFC-ის ექსპერტები გაკვირვებული არიან, თუ რატომ არის დამოკიდებული საქართველო აგრარული პროდუქციის იმპორტზე.

თუ მეფის რუსეთის სტატისტიკოსებს დავუჯერებთ, 1913 წლამდე საქართველო ხორბლის ექსპორტიორიც კი იყო. დღეს კი თავისი მოთხოვნილების მხოლოდ 30%-ს იკმაყოფილებს.

ეს იმიტომ, რომ კომუნისტებმა ადრინდელ ხორბლის ყანების ფართობებზე ვენახები გააშენეს. ოქტომბრის რევოლუციამდე ქართველ გლეხებს იმდენი ვენახი ჰქონდათ, რამდენიც ღვინო ეყიდებოდათ. კომუნისტების მმართველობის პერიოდში კი ვენახების ფართობი 10-ჯერ მაინც გაიზარდა, რამაც თავისთავად შეზღუდა სხვა კულტურები. რომ არა რუსეთის ემბარგო – ეს გაზრდილი ფართობები დღესაც მომგებიანი იქნებოდა.

ახალ რეალობას კი ახალი მიდგომები სჭირდება. რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი, თუ **შადმან ვალავის** დავუჯერებთ და ვენახებს ავჩეხთ. **მაგრამ უნდა დაინერგოს მიწის კომპლექსური გამოყენების კულტურა – რასაც ისევ სტერეოტიპები ზღუდავენ.**

მაგალითად, იმერლებს ვენახშივე მოჰყავთ სხვა კულტურები და იქ ვაზის მომგებიანობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. კახელებს კი მხოლოდ ყურძნის გაყიდვით უნდათ

დანახარჯების ამოღება – აქაოდა, ვენახში სხვა მცენარე არ გაიხარებსო, არადა, თუ ვენახში სოიას დავთესავთ - ეს მცენარე მიწას აზოტოვანი შენაერთებით ამდიდრებს – ე.ი. ვაზის მოსავლიანობასაც გაზრდის და პირუტყვის საკვებადაც გამოდგება. ეს დამატებითი შემოსავალი კი ალბათ დაფარავს ვაზის მოვლის ფინანსურ ხარჯებს. **ზოგიერთი ფერმერი ვენახებს ასევე სათიბებად იყენებს, მაგრამ უმრავლესობა ამ გამოცდილებას რატომღაც არ იზიარებს.**

სოფლის მეურნეობის თუ სხვა პერსპექტიული დარგების განვითარებას ასევე აფერხებს ქართველი ბიზნესმენების პასიურობა. უმეტესობა ცდილობს იმოქმედოს იმ ბაზარზე, რომელზედაც უკვე დამკვიდრდა და არ აქცევს ყურადღებას ახალ შესაძლებლობებს.

საინვესტიციო პასიურობის მთავარი მიზეზი ისევ და ისევ სტერეოტიპია – „ეს არ არის ჩემი საქმე“. ამიტომაცაა, საქართველოში მხოლოდ ძველმოდური ტიპის წარმოება რომ ვითარდება – ინვესტიციები ხორციელდება ისეთ **„გადატვირთულ“** დარგებში, როგორებიცაა: მაგალითად, ლიმონათის, ან საკონდიტრო წარმოება.

ბევრ ბიზნესმენს რატომღაც მიაჩნია, რომ ის მაინცდამაინც მეპურედ, ან მენავთობედაა დაბადებული – შესაბამისად, მას ურჩევნია თავის სფეროში გაკოტრდეს, ვიდრე ახალ სფეროში მიიღოს მაღალი მოგება.

რა თქმა უნდა, ცოდნას და გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება – მაგრამ მათი უკმარისობის შევსებაც შეიძლება ისევ და ისევ აპრობირებული მეთოდებით.

როდესაც ევროპელ, ან თუნდაც არაბ ბიზნესმენს ახალ სფეროში ინვესტირება სურს, მაგრამ შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება არ გააჩნია, იგი მიმართავს კონსალტინგურ კომპანიას, რომელიც თავის თავზე იღებს ინვესტიციის მართვას.

ასეთი ტიპის კონსალტინგმა ისეთი დიდი მასშტაბები მიიღო, რომ საქმიანი მიმოწერის დროს პირველ რიგში გეკითხებიან:

თქვენ თვითონ ხართ ამ პროექტის მფლობელი, თუ უბრალოდ მართავთ?

თუ სხვა ქვეყნის ბიზნესმენებმა შეიგნეს, რომ ზედმეტი ფული ზემომგებიან პროექტებში უნდა დააბანდონ და ეს ინვესტიცია შესაბამისი დონის კონსულტანტებს უნდა ამართვინონ, მაშინ, რატომ პასიურობენ ქართველი ბიზნესმენები? **რატომაა მიუღებელი ჩვენთვის კონსალტინგი და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირება?**

მით უმეტეს, რომ საქართველოში ძალიან ბევრია კვალიფიციური ადამიანი, ვისაც უბრალოდ საკუთარი საქმის ფლობის ეშინია. **სხვისი საქმის მართვას კი დიდი სიამოვნებით თანხმდებიან.**

ასეთ მცოდნე კონსულტანტებს უკვე სხვა ტიპის სტერეოტიპი აწუხებთ. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ ზედმეტი სიმდიდრე – ეს ბოროტებაა. მათი ლოგიკა მარტივია: **თუ გექნება ბევრი ფული – მაშინ ადვილად გახდები სხვადასხვა ჯურის კრიმინალების სამიზნე**. ამიტომ, სჯობს მხოლოდ საშუალო ხელფასი გქონდეს, რომ ვინმეს შენზე **„თავდასხმის ცდუნება“** არ გაუჩნდეს.

„ბოროტების უარმყოფელები“ საკმაოდ ბევრ შესაძლებლობებს უშვებენ ხელიდან, რითაც ხელს უწყობენ საზოგადოების გაღატაკებას. არადა, **რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით უფრო მეტია შეუმჩნეველი საშუალო ხელფასის დონე**. ამიტომ, ზუსტად რომ **„ჭკუის კოლოფმა“** არ უნდა გაუშვას ხელიდან ინვესტიციების მოზიდვის შანსი.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია დაცვის მექანიზმების შექმნაც, ამისათვის უნდა მოძებნო თანამოაზრეები (რაც შეიძლება მეტი). ძალა ხომ ერთობაში და სიმრავლეშია?

ქართველი მძარცველების მთავარი უპირატესობა ზუსტად რომ ერთობა და სოლიდარობა იყო.

„ჭკვიან ჰუმანისტებს“ კი უფრო ადვილად უნდა შეეძლოთ ერთობლივად მოქმედება.

ევროპელი ჰუმანისტები ამას ახერხებენ და ისინი იცავენ არა მარტო თავიანთ უფლებებს, არამედ, ეროვნულ უმცირესობებსაც სადღაც აფრიკაში, თუ ინდონეზიაში.

საქართველოში კი პირიქით ხდება – საზოგადოების დიდ ნაწილს ურჩევნია თავის სტერეოტიპებს შეეწიროს, ვიდრე, ელემენტარული, მართლმადიდებლური ჭეშმარიტებები აღიაროს.

